ქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის მთავარ კომიტეტის ორგანო

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა" თვიურად ღირს 100,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 500,000 უკანასკნელზე 300,000 მ. განცხადება 10.000მ. ნონპარელის სტრიქონი. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება 10—12 ს. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტისყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

ტფილ. ფასი 50ას მან. ▭ პროვინც. 5000 მან.

№ 316

ხუთშაბათი ოქტომბრის 12

1922

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

მარო ბაქრაძისა,

აც ვაუწყებთ ნათესავთ და მეგობრებს, მეუღლე შალვა ბაქრა- მაზლნი: აკაკი, კაპიტონ, გრიგოლ და ბიკენტი, რძლები: ნი- და იულია ბაქრაძეებისა. გამოსვენება მიხაილოვის საავადმყოფოდან დღეს, 12 ოქტომბერს, ნაშუადღევის 4 საათზე.

328—1—1

ხუთშაბათს, ოქტომბრის 12,

საღამოს 5 საათზედ,

ქალაქის აღმასკომის ბინაზედ

დგება სხდომა სახალხო განათლების სექციისა.

სარჩევია სერიოზული საკითხები და ამიტომ წევრების დასწრება ებულია.

—2

მდივანი: **ხუნდაძე.**

საშიში მტრები

ლუციურ მოძრაობაში მუშათა თვის საშიშია არა მარტო მო- დეგე კლასი, რომელსაც იგი პირ მართავს ბრძოლას, არამედ კი- მეტად საშიშია რევოლიუ- გებში გაჩენილი დეზერტირობა მავე რიგებში მოკალათებული მოღალატე და შავად მოაზრე- ელემენტები.

თვალსაც არ გვიკვირს, რომ ებულ რევოლიუციას ხშირად ება ხოლმე დამარცხებული რე- ელემენტები და ცდილობენ მოძებნას.

ბიერის ტერორმაც კი ვერ შეს- რევოლიუციონური რიგების გაწ- თუ რობესპიერები, სენ-ჟიუსტ- ენოვები, კონდორსენნი, როდე- ოდეს საფრანგეთის რევოლიუ- რომელნიც არიან მსახურნი და ის მსხვერპლნი რევოლიუცი- ვე რევოლიუციას ახსოვს ფუშე რომელნიც უპრინციპო ნები არიან მაღალ პოსტზე წარ ნი.

უშე, წევრი სასულიერო კონ- იისა რევოლიუციამდე, შემდეგ ს კულტს" ქადაგობს და კ'ვ- ბეერის უკიდურეს ატეისტებთან ნ და კოლილო დ'ერბუასთან, იგი კარიერას აკეთებს ბაბეფის ით, რის გამო დირექტორია ნში გზავნის სრულუფლებიან ეგენტად და პოლიციის მინის- ც აღწევს.

ნ ინსტინქტს და ჯაშუ- ნაპოლეონიც აფასებს და წილეობას იღებს 18 ბრიუმე- ტრიალებაში და ნაპოლეონის პოლიციის მინისტრის პოსტი ხოლო ამავე დროს ერთ და მენტში ბურბონებთანაც და ინგლისთანაც საიდუმლო კავ- ლის, რადგან გრძნობს ნაპო- დამარცხებას და ორივე ფრონ- თებს მომავალ კარიერას. ვა- შემდეგ ფუშე კიდეც გადადის მხარეზედ.

-18 საუკ. დროსაც იგი პოლი- ნისტრია, რომლის შემდეგ მას აქცევა, მაგრამ უკვე შეგროვი- მილიონები და მშვიდობიანათ ება ავსტრიაში.

, ეს განსახიერება უპრინციპო- ნის, რომელიც ტრიბუნაზე დაბარებული დეზულებებით ვლობს და რობესპიერის მო- ცემულის ჟამს კი, როდესაც მოელის საფრთხე ორ სა- ედებს—ერთს მის დასაცავად საპირადლოდ, იმის მი- კონვენტში რა მდგომარეო- ება.

ჭკომ მოვიხსენიეთ ეს ორი ინტრიგანი საფრანგეთის რომ ესენი ცოცხალი მაგალითია იმის, რომ ასეთი ელემენტები შესაძლებელია არა მარტო დაბალ პოსტზე, არამედ მაღალ სავარძელშიაც.

მით უფრო საკვირველად უნდა ჩაითვალოს ასეთი ელემენტების არსებობა ტერორის ეპოქაში, როდესაც ტერორი შიშის ზარს სცემდა მთელ საფრანგეთს და კონვენტის 782 წევრშიაც მხოლოდ 15 დარჩა უვნებელი, დანარჩენნი კი ზოგი გილიოტინაზედ დაეცა, ზოგი გადასახლებულ იქნა, ზოგი დატუსაღებული, ნაწილმა თვითმკვლელობით დაასრულა არსებობა, ხოლო ნაწილი ჰკუაზედ შეიშალა.

ცხადია ასეთმა მდგომარეობამაც ვერ გაასწორა გაუსწორებელი ინტრიგანები და დღესაც არ არის საკვირველი, რომ მუშათა რიგებში და რევოლიუციის ფერხულში ერიოს მავნე ელემენტები. ლენინის თქმით, ზოგი კომუნისტის გადაფხეკით იმპერიალისტს აღმოაჩენთ, და ეს მართლაც რომ ასეა.

ჩვენში არის ხალხი ინტერნაციონალური ფრაზეოლოგიით ხელში, რომელიც ელემენტარ მოთხოვნებს ჰეშმარიტი ინტერნაციონალიზმისას არ იცავს. თუ გუშინ მავნე ელემენტები შავად გვეჩვენებოდა, დღეს ისინი უკვე სხვა ფერით არიან მოკაზმულნი. ასეთი ელემენტები მეტად საშიშია რევოლიუციისათვის.

პედანტიური სენით შეპყრობილი მოქალაქის მხედველობითი აპარატი ასეთ ელემენტს ხედავს მხოლოდ და მას იქეთ აღარც სხვას ვინმე დაინახოს. მისთვის საკმაოა ერთი ექსპერიმენტი, რომ გაიმეოროს და დაიწყოს რაღაც უსიამოვნო მუტბუტი.

ასი წლის მონობაში მყოფი ხალხი იმდენად მოწყურებული ყართ თავისუფლებას, რომ კომპრომისები და დეფექტები ჩვენთვის მიუღებელი ხდება.

ამასთან ერთად ჩვენში არის ისეთი ხალხი, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ გაუგია რევოლიუციის მიზნები ერთა მიმართ და ყოველივეს გაერთიანების პოლიტიკით სურთ რევოლიუციის სამსახური.

რევოლიუციის მესვეურთა უწმინდესი მოვალეობაა მებრძოლთა რიგების გაწმენდა. განსაკუთრებით ასეთ მოვლენას ადგილი უნდა ჰქონდეს განაპირა ქვეყნებში, სადაც ცუდი ორპირი ელემენტის არსებობა არის შესაძლებელი.

აუცილებლად საჭიროა ყურადღება და კონტროლი ყოველი პასუხის მგებელი პირისა, რომ კრისტალიზაცია ყოს ჰეშმარიტ რევოლიუციონერებს.

ჩვენი ქვეყანა უნდა განიწმინდოს ისეთი ელემენტებისაგან, რომელთაც ვერ შეუფვნიათ ჩვენი ქვეყნისა და რევოლიუციის ინტერესები.

ხ—ელი

ჟურნალ—გაზეთებიდან

დამოუკიდებელი ჯგუფი ლეიბორისტებში. დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ყრილობის დადგენილების გამო გერაში, მოწინააღმდეგეებმა გაერთიანების სოც.-დემოკრატიულ უმრავლესობასთან, ლედებურის მეთაურობით შექმნეს ახალი პოლიტიკური ჯგუფი მემარცხენეებისა, რომელმაც უკვე გამოუცა მოწოდება ლედებურის, ლიბკნეხტის, ობუხის, დაუკუნტის, დამფუძნებელ კრების ყოფილ წევრებისა და კიდევ ზოგიერთ ნაკლებად ცნობილ პირების ხელის მოწერით. ოქტომბრის პირველ რიცხვებში ამ ჯგუფმა გამოსცა ყოველკვირეული „კლას ენკამპფ" („კლასიური ბრძოლა") ლედებურის რედაქციით. ბერლინის ქალაქის სამი დამოუკიდებელი დეპუტატი შეუერთდა ლედებურის ჯგუფს.

მდგომარეობა სტამბოლთან კრიტიკულია. სტამბოლიდან მიღებულ 28 სექტემბრის ცნობით, ქალაქში შეშფოთებული მდგომარეობაა. ბრიტანეთის ახალი დამხმარე ძალები გაგზავნილია ახლო აღმოსავლეთში. ინგლისის ქვეითა ჯარის რიცხვი სრუტეებთან აღწევს 20 ათას კაცზე მეტს. ინგლისის ფლოტი, რომელიც სდგას დარდანელთან, შესდგება 6 დრედნოუტის, 7 სამხედრო კრეისერის, 20 გამანადგურებელისა, მნიშვნელოვანი რიცხვის წყალქვეშა ნავებისა და სამხედრო ტრანსპორტისაგან. ქემალ ფაშის ძალები, რომელნიც თავმოყრილია სრუტეებთან შეადგენს 15 ათას კაცზე მეტს.

ამერიკის ჩარევის შესახებ. ვაშინგტონიდან მიღებული ცნობით, ამერიკის ოცმა გამანადგურებელმა მიიღო ბრძანება გაემგზავროს ამერიკის ესკადრის დასახმარებლად ხმელთა შუა ზღვაზე, რომელიც სდგას სტამბოლში ადმირალ ბრისტოლის ხელმძღვანელობით. ცნობები ვაშინგტონიდან უმატებს, რომ ეს ნაბიჯი სრულებით არ ნიშნავს ამერიკის აქტიურ ჩარევას ახლო აღმოსავლეთის საქმეებში. დამხმარე ძალების გაგზავნა გამოწვეულია მხოლოდ ამერიკის დაინტერესებით სრუტეების საკითხში ეკონომიურის მხრით.

ინგლისის პრესა საბჭოთა რუსეთის ნოტის შესახებ. „ორინპოსტმა", „დეილი ტელეგრაფმა" და „მანჩესტერ გარდიენმა" ნოტა დაბეჭდეს სავსებით. უკანასკნელი გაზეთი უძღვნის ნოტას განსაკუთრებულ მეთაურს, რომელიც იწყება კატეგორიულ განცხადებით, რომ რუსეთი წარმომადგენდა ყველაზე უფრო დიდს შავი ზღვის სახელმწიფოებში, ყველა სახელმწიფოებზედ უფრო დაინტერესებული არის სრუტეების კონტროლში, ამიტომ გადაწყვეტა სრუტეების ბედისა როგორც რუსეთის, ისე საქართველოსა და ბოლგარეთის მონაწილეობის გარეშე ყოვლად დაუშვებელია. „მაგრამ—აგრძელებს გაზეთი,—ამ კითხვასთან ერთად ჩვენ ვდგევართ მეორე, გაცილებით უფრო მნიშვნელოვან საკითხის ინგლის-რუსეთის ურთიერთობის წინაშე. არა აქვს არავითარი აზრი აღძრათ რუსეთში ინგლისის სამხედრო გრძნობა, „იმის მაგივრად, რომ ეს ჩვენ მეგობრათ შეგვექმნათ". გაზეთი ამტკიცებს, რომ რუსეთი ახლო მომავალში ისევ ის გახდება, რაც წინათ იყო, სახელმწიფო—ერთი მსოფლიო სახელმწიფოთაგანი. რუსეთის მთავრობა იცვლის თავის პოზიციებს და ინგლისისთვის მეტად სასარგებლოა რუსეთთან დამოკიდებულების დაჭერა. „ეჭვს გარეშეა, ძალიან სასარგებლო იქნებოდა ჩვენთვის ისე, როგორც რუსეთისთვის, რათა ბოლო მოეღებოდა ინგლის-რუსეთის ქრონიკულ ანტაგონიზმს, ინიციატივა ჩვენგან უნდა გამოვიდეს და ახლანდელი მომენტი ამისათვის შესაძლებელია კრიტიკული იყოს. ტონი უკანასკნელი რუსული ნოტისა მეტად სერიოზულია, თითქმის დამუქრებითაც, მაგრამ ნოტაში არა არის რა ისეთი, რაც საქმისადმი გონიერათ მოპყრობის დროს, ჩვენთვის საფრთხილო იყოს. რუსეთის მთავრობა შესაძლებელია ჩვენზე უფრო აძლევდეს თავის თავს ანგარიშს იმ საფრთხეში, რომელთანაც დაკავშირებულია სრუტეების საკითხის გადაწყვეტა დაინტერესებულ სახელმწიფოთა მონაწილეობის მოუღებლობის გარეშე. შესაძლებელია ნოტა მეტათ დიდ მნიშვნელობას აძლევდეს ამ სახელმწიფოთა პრეტენზიებს, არ უწევს რა ანგარიშს დანარჩენთა ინტერესებს, მაგრამ ეს არ შეიძლება გახდეს მიზეზათ მათი კონფერენციაზე არ დაშვებისათვის, არამედ პირიქით,—ეს არის სერიოზული საფუძველი მათი დაშვებისთვის".

დასასრულ გაზეთი აღნიშნავს, რომ რუსეთის ნოტა სრუტეების სუვერენიტეტის საკითხში გაცილებით მეტს თხოულობს, ვიდრე თვით ოსმალები და ამბობს, რომ ქემალ-ფაშა და რუსეთის მთავრობის შეხედულება იმ სახით, როგორც ეს ნოტაშია, ერთმანეთს არ შეეფერებიან. ოსმალეთის თვალსაზრისი გაზეთს მიაჩნია უფრო დაახლოვებულათ ინგლისისადმი.

„მანჩესტერ გარდიენის" პოლიტიკური კორესპონდენტი, ეხებს რა კაბინეტის გუშინდელ სხდომას, რომელზეც რუსეთის საკითხი იყო განხილული, სწერს, „რაც შეეხება რუსეთის მოთხოვნილებას კონფერენციაში მონაწილეობის მიღების შესახებ,—თავიდანვე ნათელი იყო, რომ ბრიტანეთის მთავრობა არა თუ თანაგრძნობით შეხვდება ამას, არამედ უფრო შორსაც შეუძლია წასვლა, მიიღებს რა მხედველობაში, რომ არავითარი მოწესრიგება ახლო-აღმოსავლეთის საკითხისა რუსეთის მონაწილეობის გარეშე არ არის შესაძლებელი. რამდენადაც კერზონმა მიაღწია საფრანგეთთან შეთანხმებას კონფერენციის მოწვევის შესახებ, ბრიტანეთის მთავრობამ დაიკავა რუსეთის საკითხში სრული თავშეკავების პოზიცია, რათა არ დაერღვია საფრანგეთთან მოწესრიგებული ურთიერთობანი რაიმე განცხადებით, რასაც შეეძლო ჩაეყენებია ეს უკანასკნელი ძნელ მდგომარეობაში. როგორიც არ უნდა იყოს ეს საკითხი ახლა აღძრული, არის და საჭირო ხდება მათი განხილვა პარიზში.

„დეილი ტელეგრაფის" დიპლომატიური კორესპოდენტი აღნიშნავს, რომ, როგორც ჩანს, რუსეთ-ოსმალეთის ხელშეკრულებიდან, „ბოლშევიკები ადგანან ძველ რუსულ პრინციპს,—არ დაუშვან სხვა ეროვნებათა შეიარაღებული გემების შესვლა შავ ზღვაში". როგორც აღნიშნავს შემდეგ კორესპონდენტი, თანახმად ოფიციალური წრეთა ცნობებისა, იმ შემთხვევაში, თუ ოსმალები რუსეთის მონაწილეობას სინე-ქვა-ნონის პირობით მიიღებენ, მაშინ საკითხის გადაწყვეტის ინიციატივა საფრანგეთს მიეკუთვნება, რადგან ინგლისი წინათაც არ ნახულობდა დაბრკოლებას ბოლშევიკებთან შესახვედრათ გენუასა და ჰააგაში. ინგლისი,—აგრძელებს კორესპონდენტი,—ცნობის მოყვარეობით უთვალთვალებს მას, თუ რა დასძლევს პუანკარეში: ოფიციალური პოზიცია საფრანგეთისა საბჭოთა მთავრობის მიმართ, თუ დაკმაყოფილება იმ აზრით, რომ ბოლშევიკები შესაძლებელია შეუერთდენ საფრანგეთის თვალსაზრისს, რომელიც ამავე დროს ოსმალეთისაც არის.

„ვესტმინსტერ გაზეტა" ძველებურათა მოითხოვს რუსეთის მოწვევას.

თურქული პრესა

ოსმალეთი და უცხოეთის ინტერესები

სტამბოლის გაზეთი „ილერი", „სხვათა ინტერესების" სათაურით სწერს შემდეგს:

ჩვენ, თურქები, როდესაც აღმოსავლეთის საკითხების და საბერძნეთთან ჩვენი ბრძოლის ანუ ჩვენი ეროვნული ზავის შესახებ ვლაპარაკობთ, სულ უკეთეს მხარეებზე ვფიქრობთ, სულ ჩვენს თვალსაზრისს, სულ ჩვენს უფლებებს და ჩვენს გრძნობებს წინ ვაყენებთ, ჩვენი შეხედულებისამებრ, ჩვენი ლოღიკისამებრ და ჩვენი უფლებების მოთხოვნილებისამებრ. აღმოსავლეთის საკითხების გადაწყვეტას ვთხოულობთ, ჩვენი არჩეული წარმომადგენლების სიტყვები, თანამოადგილეთა განმარტებანი, ჩვენი ერის მოსწრაფეება და ჩვენი პრესის საერთო ენა, „ჩვენი უფლებებიო" სულ ამ სიტყვებზე არის დამოკიდებული. მართალი არის, ჩვენი უფლებების შენახვა, დაცვა და მოპოვება აუცილებელი არის ჩვენთვის და უამისოთ ჩვენი ცხოვრებაც შეუძლებელი არის. მაგრამ დედა მიწის ზურგზე მარტო თურქები არ ვარსებობთ, სხვა ერებიც იმყოფებიან და მათაც თავიანთი შეხედულებისამებრ მოთხოვნილებები და უფლებები აქვთ და დასაცავი ინტერესებიც. თუნდ ერთი პიროვნების იყოს და თუნდაც მთელი ერისა, საქმე მარტო თავის უფლებების დაცვა და ინტერესებზე მზრუნველობა კი არაა, არამედ ძირითადი ფუძე საკითხისა ყველას უფლებებისა და ინტერესების მოგვარებისა და შეთანხმების უზრუნველყოფაა. და ეს კი მეტად საძნელოა, მთელი, ყველა უბედურება, ომი, მტრობა, ჯიბრი და შურისძიება, სულ ამის გამო, უფლებათა და ინტერესებთა შეუთანხმებლობის გამო ხდება.

თუმცა ჩვენი წარმომადგენლები და პრესა ეროვნულ საკითხებს ირკვევენ და იცავენ და მხოლოდ ეროვნული მიზნების განხორციელებას ეწევიან, მაგრამ ნაციები, წარმომადგენლები, პოლიტიკოსები და დიპლომატები კი იძულებული არიან სულ სხვა ნაირად იმოქმედონ, იმუშაონ და გაიმარჯვონ.

მართალი არის, პარლამენტის წევრი ტრიბუნიდან მხოლოდ თავის ერის უფლებებს მოითხოვს პრესა მხოლოდ სამშობლოს თვალსაზრისს განმარტავს, მაგრამ დიპლომატი როცა უცხოელებთან თათბირობს, იძულებულია სულ სხვანაირად მოიქცეს და ილაპარაკოს. და თუ მოპირდაპირეებთან მხოლოდ თავის ერის უფლებებზე და ინტერესებზე იწყებს ლაპარაკობს, მაშინ ის დამთქნარებითა და არა სწორი პასუხებით გაიმასპინძლდება. ვინმე დიპლომატი, პოლიტიკოსი, როცა უცხოელებთან მოლაპარაკებას გამართავს ის მაშინ „ეს ჩვენი უფლება და ინტერესები არისო" ვერ იტყვის. ეგებ ეს თქვენი უფლებები და ინტერესები არისო" იძულებულია სთქვას. მიტომ რომ უცხო სახელმწიფოთა მიერ აღმოსავლეთის საკითხებში თურქებთან დამოკიდებულება, თურქები მართალი არისო ამისათვის კი არ არსებობს, არამედ აღმოსავლეთში და კერძოთ ოსმალეთში უცხოელებს ზოგიერთი არსებითი ინტერესები აქვთ და ამის გამო არის.

მაშასადამე ჩვენ როცა მათ მივმართავთ უწინარეს ყოვლისა ბუნებრივი და სულიერ ვითარებასთან შესაფერებელი მათ სარგებლობაზედაც უნდა ვილაპარაკოთ და თუ სამი წლის წინეთ მოკავშირე სახელმწიფოებმა საბერძნეთს პირი მისცეს, თუ იგი გაათამამეს და სმირნის დაჭერის ნებაც შესთავაზეს, ეს საბერძნეთის ხათრისათვის კი არ იყო, არამედ აღმოსავლეთში ძლიერი ერთი სახელმწიფოს დაარსებისათვის იყო.

ვენიზელოსი სულ ამას გაიძახოდა, რომ აწკი თურქების ძალა ბერძნებზე გადმოვიდა და ყველასაც ამას არწმუნებდა. მაგრამ მომხდარმა ამბებმა თურქების ძლევა-მოსილება გაამართლა და ბუნებრივად და თავის თავად ამის შესახებ ევროპის აზრიც შეიცვალა. საერთო მიზანი არც ბერძნებსა და არც თურქების უფლებების დაცვა იყო, მხოლოდ აღმოსავლეთში ძლიერი ერთი სახელმწიფოს შექმნა და სრუტეებიდან მსოფლიო ვაჭრობას ხელი ვერ მოუშალოთ და ვერ ასარგებლო, თურქებს თავიანთი ძალებით, ტრადიციებით და უნარით აღმოსავლეთში მშვიდობიანობის და მყუდროების დაცვა და დამყარება შეუძლიათ. თქმა არ უნდა ხვალე კონფერენციაზე თურქეთი მოკავშირეთა სახელმწიფოების ნდობასა და ყურადღებას დაიმსახურებენ. ასე რომ ჩვენ გარეშე საქმეებში, საზავო კონფერენციებში, დიპლომატიურ თათბირებში, წამდაუწუმ მხოლოდ ჩვენს უფლებებზე არ უნდა ვილაპარაკოთ, იმიტომ რომ ამის ყურის დამგდები არ გვეყოლება, ამას არავინ მოისმენს. ჩვენ როცა უცხოელებთან გვექნება მოლაპარაკება და ბაასი: „აღმოსავლეთში თქვენი ეს და ეს ინტერესები უნდა უზრუნველვყოთ და თქვენც ამის ნაცვლად ესა და ეს უნდა მოგვცეთო" უნდა ვსთქვათ.

აწ კი ჩვენთვის გრძნობიერი პოლიტიკოსები და დიპლომატები აღარ საჭიროებს. ჩვენ მხოლოდ მოვაჰრე პირები გვჭირია.

ერთიც ბოლშევიკებს შევხედოთ, ესე იგი კაპიტალისტების მტრებს, როცა ევროპიელებთან და ამერიკელებთან, ესე იგი კაპიტალისტებთან თათბირობენ რამდენადა წმინდა ვაჭრობის უნარს იჩენენ და რამდენად კომპრომისებზე მიდიან. როცა დაიწყება თათბირი მაშინვე „რუსები თქვენს ამდენ ინტერესებს უზრუნველყოფენ“ და საქმის გარჩევას იწყებენ. ჩვენც, თურქებმაც გარეშე პოლიტიკის თანამედროვე მცნებათა და თანამედროვე დიპლომატიურ მოთხოვნილებათა მიხედვით უნდა ვიმოქმედოთ, ერთის მხრით არა ოფიციალურ და არა პასუხისმგებელ პირებმა და პროპაგანდისტებმა მხოლოდ თურქების უფლებებზე ილაპარაკონ, და უცხოელებს ჩვენი თავი გააცნონ. მაგრამ მეორე მხრით ოფიციალურმა სახელმწიფო პირებმა და პასუხისმგებელ ვეზირ-ნაზირებმა და ელჩებმა, აღმოსავლეთის საკითხის გარჩევის დროს თურქებს უცხოელებისა რადგა რანაირი უფლებებისა და ინტერესების დაცვა და უზრუნველყოფა შეუძლიათ, და ინტერესებულებს უნდა აცნობონ და დაარწმუნონ.

ნუ დავივიწყებთ, რომ თუ ჩვენი უფლების დაცვა და უზრუნველყოფა მხოლოდ ეროვნულ საზღვრებში დამოუკიდებლად ცხოვრებისათვის არის, ჩვენი ინტერესების დაცვაც, უმწეო და საყვარელი ჩვენი სამკვიდრებელისაც თანამედროვე ფორმების მიღებაში გამოიხატება.

ყოველივე ესენი რომ ჩვენ სისრულეში მოვიყვანოთ იძულებული ვართ მივმართოთ უცხოელების სწავლას, სპეცებს და კაპიტალს. ჩვენ მიერ ჩამოთვლილი ეს უცხოელთა საშუალებანი, რომ მის შეკეთებას და აღდგენას მრავალი წლები დასჭირდება სწრაფად ჩვენს აოხრებულ სამკვიდრებელში მათი გადმოტანისათვის ევროპიელებისა და ამერიკელების ნდობის დამსახურება არის აუცილებელი. ჩვენი თანამედროვება, კულტურა და სახელმწიფოებრიობა უნდა დაუმტკიცოთ, უნდა ვაჩვენოთ. ამერიკას დღეს აღმოსავლეთში ვაჭრობის თავისუფლება სურს, იტალია ჩვენზე გადმოსაცემ დამუშავებულ საქონლის ნაცვლად ჩვენგან ნედლ მასალას თხოულობს. საფრანგეთი აღმოსავლეთში გავლენისათვის მიდგომარობის განმტკიცებას რომ თხოულობს, აგრეთვე საფრანგეთს ჩვენში ვაჭრულ-მეცნიერული ინიციატივისაც განმტკიცება უნდა. ლიბანსა და სირიაში ერთა ლიგის მიერ მიცემული მანდატისაც თავისუფლად ცხოვრებაში გატარებას თხოულობს. ინგლისი, აღმოსავლეთში რომ თავის ვაჭრობას ზედმეტ მნიშვნელობას აძლევს, აგრეთვე როგორაც ჯებელი ტარიკში და სუეცის არხში არსებობს, ისევე ჩვენ სრუტეებშიაც თავის კონტროლის გაწევას თხოულობს, და ეგვიპტეში ფალესტინიაში მესოპოტამიაში, სპარსეთში და ინდოეთშიაც დიდი ბრიტანეთის კოლონიების მიმართ თურქების მიერ ხელშეუხებლობის გარანტიასა და უზრუნველყოფას თხოულობს.

ჩვენ, თურქებმა, ჩვენი მოპირდაპირეების, ევროპისა და ამერიკის სახელმწიფოების მიერ, ჩვენგან რადარა ინტერესების დაცვა და უზრუნველყოფა არის მოთხოვნილი, თუ ეს მთელი მისი შტოებანი შევიგნეთ, თქმა არ უნდა საერთო ენასაც გამოვძებნით. ჩვენგან, კერძო ვაჭრული და პოლიტიკური ინტერესების დაცვა და უზრუნველყოფას მოითხოვენ. ამის ნაცვლად ჩვენს დამოუკიდებლობას სცნობენ და ამტკიცებენ. ქვეყნიერებაზე ყველაფერი შეთანხმებით კეთდება. ხვალინდელ კონფერენციაზე ჩვენ, თურქებმა აუცილებლად ჩვენი ზავისა და დამოუკიდებლობის მიღწევისათვის უცხოელების ზოგიერთი უფლებები და ინტერესები აღმოსავლეთში უნდა ვიცნოთ, და უზრუნველვყოთ. უცხოელებს რამდენიც მალე დავაკმაყოფილებთ, იმდენად მალე ჩვენს მიზნებსაც მივაღწევთ. ყველა ესენი რომ ჩვენ მიერ განმეორებით იწყება, მიზანი ის გვაქვს რომ ცოტაც იყოს სხვებთან ბრძოლას თავი ვანებოთ. ჩვენი უფლებები ვიცოდეთ, ცოტაც სხვების ინტერესების დაცვაც უზრუნველვყოთ და თანაბრად სხვებთან ჩვენი უფლებები და ინტერესებიც შევათანხმოთ.

ახლო აღმოსავლეთი

ოსმალეთის კავშირი რუსეთთან

მოსკოვი. 11 ოქტომბერი. „მანჩესტერ გარდიენ“ აღნიშნავს, რომ ოსმალეთი ახლა უფრო ძლიერია ვიდრე უწინ, ვინაიდან მას მტკიცე კავშირი აქვს რუსეთთან.

მუდანიის კონფერენციაზე

მოსკოვი, 11 ოქტომ. მუდანიის კონფერენციის სხდომაზე ოსმალეთის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ოსმალეთს არ შეუძლია დათანხმდეს მოკავშირეთა საოკუპაციო ძალების ყოფნაზე იმ ტერიტორიის ფარგლებში, რომელიც ოსმალეთს უნდა გადაეცეს. ოსმალეთმა წინადადება მისცენ მოკავშირეთ, რათა ოკუპაცია უყონ (დამახინჯებულია).

ინგლისის წრეებში

ნაუენი. 11 ოქტომბ. ლონდონის ოფიციალურ წრეებში მდგომარეობა ახლო-აღმოსავლეთში სერიოზულად მიაჩნიათ. ძალიან კრიტიკული დღე იყო სამშაბათი.

ნაუენი. 11 ოქტომბერი. გაზ. „მანჩესტერ გარდიენი“ ურჩევს ინგლისის მთავრობას დაუახლოვდეს ოსმალეთს, რადგან იგი ბრუნდება უკან ევროპის სახელმწიფოთა წრეში.

ბორდო 11 ოქტომბერი. ოფიციალურ წყაროებიდან იტყობინებიან, რომ შაბათს ლოიდ-ჯორჯი წაიკითხავს მანჩესტერში მოხსენებას თავის პოლიტიკის შესახებ აღმოსავლეთის საკითხში.

ინგლისის მუშათა მოთხოვნილება

ჰანოვერი. 11 ოქტომბ. ინგლისის მუშათა კავშირები და „მუშათა პარტია“ გამოშვებულ მოწოდებაში მოითხოვენ კაბინეთის დაუყოვნებლივ გადადგომას და ახალის არჩევნებს.

ლოიდ-ჯორჯის პასუხი

ნაუენი. 11 ოქტ. მუშათა კავშირების და „მუშათა პარტიის“ საპასუხოდ კაბინეთის გადადგომის შესახებ ლოიდ-ჯორჯმა გამოაქვეყნა საიდუმლო თათბირი მუშათა პარტიის დელეგატებთან, რომელიც მოხდა 21 სექტემბერს. ამ თათბირზე დადგენილი იყო, რომ მთავრობის და მუშათა პარტიის შეხედულებანი ერთმანეთს ეთანხმებიან, ვინაიდან მთავრობის ერთად ერთ მიზანს შეადგენს ახლო-აღმოსავლეთში მშვიდობიანობის დაცვა და სრუტეების ერთა ლიგის კონტროლის ქვეშ გადაცემა. ლოიდ-ჯორჯი აცხადებს, რომ მთავრობა არ უწევდა დახმარებას საბერძნეთს ოსმალეთთან ომის დროს. ლოიდ-ჯორჯს განზრახული აქვს თემთა პალატაში დაიცვას თავისი პოლიტიკა ახლო-აღმოსავლეთის საკითხში.

საფრანგეთის წრეებში

ბორდო. 11 ოქტომბ. კაბინეთის სხდომაზე, რომელიც გაიმართა ელისეს სასახლეში მილიერანის თავმჯდომარეობით, პუანკარემ გააკეთა მოხსენება ახლო-აღმოსავლეთის მდგომარეობის შესახებ.

პარიზი 11 ოქტომ. დილის გაზეთები აღნიშნავენ, რომ მთელ ევროპაში ნერვიულობა შესუსტდა.

ამერიკა და ახლო აღმოსავლეთი.

ნაუენი 11 ოქტომ. ვაშინგტონიდან მიღებულ ცნობების თანახმად. ამერიკის წრეების ინტერესი ახლო-აღმოსავლეთის საკითხში დღითი დღე იზრდება. ამერიკის წრეები მოითხოვენ თანასწორ ცვლილებებს სხვა ერებთან ამერიკის ერებისათვის სრუტეების საკითხში.

მუდანიის კონფერენცია.

ნაუენი 11 ოქტომ. გენ. გარინგტონმა მიანდო ინგლისის ცენზორს ნებადართოს ჟურნალისტებს მუდანიაში გასამგზავრებლად. გენ. გარინგტონის ნებართვით დაუყოვნებლივ ისარგებლეს ამერიკის კორესპონდენტებმა.

ნაუენი 11 ოქტომ. გაზ. „მორნინგ-პოსტის“ ცნობით, ფრანკლინ ბუიონი გაემგზავრა კონსტანტინეპოლიდან პარიზში.

ახალი ხელშეკრულება.

ბორდო. 11 ოქ. გენ. გარინგტონმა აცნობა იზმეთ ფაშას, ამ ხელშეკრულების ტექსტი, რომელიც შეიმუშავეს გენ. შარპის და მომბელლის თანხმობით, ხელშეკრულება გულისხმობს ფრაკიის ოსმალეთისათვის გადაცემის შემდეგ პირობებში: ნეიტრალური ზონა უნდა დაწესდეს შერეულ კომისიების მიერ, უნდა იქნეს უზრუნველყოფილი ჯარების უძრაობა და სრუტეების განთავისუფლება.

შეთანხმების მუხლები.

პარიზი. 11 ოქტ. ის შეთანხმება, რომელსაც ხელი მოაწერეს მუდანიაში, შეიცავს 14 მუხლს. შეთანხმების თანახმად მცირე ანტანტამ უნდა გამოყოს 8 ბატალიონი, რომელიც დაიცავს წესრიგს ფრაკიაში და რომელიც გაყვანილი იქნება 30 დღის შემდეგ. ეს ვადა შემცირებული იქნება საბერძნეთის მიერ ფრაკიის ევაკუაციის შემდეგ. შეთანხმება აწესებს ნეიტრალურ ზონის საზღვრებს, რომელიც ანგორამ უნდა გადალახოს და რომელიც დაწესებული იქნება შერეულ კომისიის მიერ. შეთანხმება ძალაში შედის ხელის მოწერის დღიდან 3 დღის გასვლის შემდეგ.

ქემალ ფაშას ჩასვლა მუდანიაში.

ბორდო. 11 ოქ. ქემალ ფაშა მიემგზავრება მუდანიაში,

შეთანხმების ნიშნები,

პარიზი. 11 ოქტ. მუდანიის თათბირის უკანასკნელ სხდომაზე მოკავშირეთა გენერლები მუშაობდნენ ოსმალეთთან სრული შეთანხმებით.

შეთანხმების ხელის მოწერა.

ბორდო. 11 ოქ. კონსტანტინოპოლში მუდანიის კონფერენციის შედეგებს ოპტიმისტურად უცქერიან. შეთანხმების ხელის მოწერას მოელიან 17 საათზე.

გერმანია და ანტანტა

გერმანია და ერთა ლიგა

ჰანოვერი 10 ოქტ. გამოვიდა რა ვრცელი სიტყვით დემოკრატიულ ყრილობაზე 9-ს ოქტომბერს რეიხსტაგის წევრი გრაფი ბერნდორფი, ყოფილი ელჩი ვაშინგტონში, მოითხოვდა გერმანიის მონაწილეობას ერთა ლიგაში,

შეტაკება დიუსელდორფში

ჰანოვერი 10 ოქტ. დიუსელდორფიდან გვატყობინებენ, რომ ბელგიის ნაწილებთან მოხდა ახალი შეტაკება, რომლის დროსაც მოკლულია გერმანელი გიმნასტი, შეტაკება მოხდა ომერკასელშიაც.

სიძვირის წინააღმდეგ

ბერლინი. გაზ. „როტე ფანეს“ ცნობით, ბრიუნში გერმანელთა გრანდიოზული საპროტესტო დემონსტრაცია სიძვირის წინააღმდეგ. დემონსტრაციაში ღებულობდა მონაწილეობას ყველა პარტიის მუშები.

უცხოეთი

დანიის კაბინეტის გადადგომა

ჰანოვერი. 10 ოქტომბერი. დანიის კაბინეთის გადადგომას მიჰყვა კაბინეთის შემადგენლობის შეცვლა. პრემიერ-მინისტრი და ფინანსთა მინისტრი რჩებიან თავიანთ ადგილზე, კაბინეთიდან გასულ შინაგან საქმეთა მინისტრის სკაკონიუხის მაგიერ დანიშნულია დირექტორი კოლდი. თავდაცვის მინისტრი ბერნშტეინი გადადგა ისე, როგორც ვაჭრობის მინისტრი რატი. თავდაცვის მინისტრის ადგილზე ინიშნება ბლოსენი.

გაფიცვების მოლოდინში

ჰანოვერი. 10 ოქტ. ინგლისის სამთამადნო მუშებთან უნაყოფო მოლაპარაკების გამო, გაფიცვების საშიშროება იზრდება. ლონდონის პრესის აზრით ინგლისის ნახშირის მრეწველობა დიდი კრიზისის წინაშე სდგას.

ჩინეთის არმიის რეფორმა

ბერლინი. გაზ. „ალგემაინე ცეიტუნგის“ ცნობით, განზრახულია ჩინეთის არმიის რეფორმა, რათა აამაღლონ მისი ხარისხი. პეკინის მთავრობას განზრახული აქვს 3 წლის განმავლობაში მოახდინოს არმიის გაწმენდა და გამორიცხოს სამსახურიდან ყველა ძველი და ავადმყოფი სალდათები. ეს გაწმენდა წინასწარი გამოანგარიშებით გააძლიერებს ჩინეთის არმიის შემადგენლობას 40 პროცენტით.

ჩეხო-სლოვაკია და იტალია

ჰანოვერი. 10 ოქტომბერი. ვენეციაში მომხდარ ბენეშის და მანცერის შეხვედრის დროს, მიღწეულ იქნა სრული შეთანხმება ჩეხო-სლოვაკიის და იტალიის ურთიერთობის საკითხში.

ტიმოფეევის შეცვლა

მოსკოვი. 11 ოქტომბერი. გერმანიის კომპარტიის აღმასკომმა მიმართა ესდეკების პარტიის პრეზიდენტს თხოვნით, მიიღოს ზომები კომინტერნის წინადადების განხორციელებისათვის, რათა ტიმოფეევი შეიცვალოს გელცით.

რევოლიუციონური მოძრაობა

მოსკოვი. 11 ოქტომბერი. ინდოეთში გრძელდება მღელვარება. მთავრობა შიშობს, რომ ჯარები შესაძლებელია შეუერთდნენ რევოლიუციონურ მოძრაობას.

განიარაღების საკითხი

მოსკოვი. ოქტომბერში რეველში იხსნება პოლონეთის, ფინლიანდიის ესტლიანდიის და ლატვიის გარეშე საქმეთა მინისტრების კონფერენცია რუსეთის წინადადების განსახილველად, რომელიც შეეხება განიარაღებას.

„როტე ფანე“ ფაშისტების შესახებ.

ბერლინი. „როტე ფანე“ უკეთებს რა ანალიზს ფაშისტების მოძრაობას იტალიაში, ამბობს: მთელს ევროპის პროლეტარიატს კარგად უნდა ახსოვდეს იტალიაში მომხდარ ამბების გაკვეთილი, არ არის საჭირო არავითარი „ბოლშევიკური გამუქება“ საკითხისა, რომ გამოვიტანოთ დასკვნა ამ ამბების შესახებ. იტალია ამ ჟამად იმყოფება შეიარაღებულ ფაშისტების ბანდების დიქტატურის გავლენის ქვეშ და ფაშიზმის ამ უჩვეულო ზრდას ხელი შეუწყო სოციალ დემოკრატიამ.

იყო აქ შეგნებული ღალატი, იყო „შემცდარი ტაქტიკა“-თ ჩვენ უფრო ადვილად ვამხელთ აშკარა შეგნებულ ღალატს პროლეტარიატისადმი ნუ თუ უნარის უქონლობა გაუბედაობა და შემცდარი შეფასება არ წარმოადგენს ნამდვილ ღალატს? გაზეთს მოჰყავს რამოდენიმე შემთხვევები, როცა სოციალ დემოკრატია ხელს უწყობდა ბურჟუაზიას, რითაც საშუალება მისცა ფაშიზმს გამოსულიყო ძლიერი ორგანიზაციული ძალის სახით. სოციალ-დემოკრატიამ გამოიყენა მეთოდები, რომლებიც წამოაყენა ამსტერდამის მუშათა სტრატეგებმა, ესე იგი აიძულა მუშები დალუპულიყვნენ ცალ-ცალკე სისხლის ღვრელ შეტაკებებში და თვით ამ შემთხვევებშიაც მახვილს სცემდნენ ზურგს უკან სხვა და სხვა გვარი შეთანხმებების სახით, მასების გავლენით კაბინეტი ეცემა, მაგრამ ბურჟუაზია კვლავ ცდილობს მის ფეხზე წამოყენებას, ხოლო სოციალ-დემოკრატია სრული კმაყოფილებით ღებულობს კაბინეტის დეკლარაციას, რადგანაც იცის, რომ შეიარაღებული კონტრ-რევოლიუცია ისარგებლებს ყოველგვარი უპირატესობით პროლეტარიატის საწინააღმდეგოდ. გაზეთი აფრთხილებს გერმანიის პროლეტარიატს, ვინაიდან გერმანია ანალოგიურ მდგომარეობაში იმყოფება და შეიარაღებული კონტრ-რევოლიუცია მხოლოდ მოხერხებულ მომენტს უცდის, რათა ლეგალურად ჩაიგდოს ძალა უფლება ხელში.

პროლეტარიატმა უნდა გამოიყენოს გარდამავალი ხანა და არ მისცეს კონტრ-რევოლიუციას თავის აწევის საშუალება, ხოლო ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროლეტარიატი არ დაერიდება ბრძოლას, წინააღმდეგ შემთხვევაში გერმანიის პროლეტარიატი იხილავს იტალიის მუშების ეხლანდელ მდგომარეობაში თავის უახლოეს მომავალს.

რუსეთი

ბრძოლა მექრთამეობასთან.

მოსკოვი. [illegible] თის [illegible] კომ[illegible] [illegible] გინებ დასჯილ იქნენ მექრთამეობა მჩნეული პირნი, ერთი წლის და რეზით. განსაკუთრებულ მძიმე შე ვებში ხმარებული იქნება დახვრ

— მექრთამეობასთან მებრძოლ ულმა აღმოაჩინა დიდი ორგანი სადგურის უფროსის მეთაურობით, მელნიც ეწეოდნენ კონტრაბანდულ ვაჭრობას.

— ყირიმში სწარმოებს ენერ ბრძოლა მექრთამეობის წინააღმდეგ პყრეს მატარებლის ბრიგადები, რო ნიც შენიშნული არიან მექრთამეო რკინის გზებთა მრავალრიცხოვან ბებს გამოაქვთ რეზოლიუციები, შიაც მოითხოვენ მექრთამეების სას დასჯას,

ოქტომბრის რევოლიუციის 5 თავი.

მოსკოვი. 10 ოქტ. ოქტომბრის რევოლიუციის 5 წლის თავზე სამეგ ლის რკინის გზების მიერ შული იქნება რემონტიდან „ ორთქლმავალი“.

— ოქტომბრის რევოლიუციის თავის საპატივცემლოდ იაროსლავ რონტოვში ყველა სახელმწიფო ებებს, ფაბრიკებს და სკოლებს მათ რევოლიუციონური სახელწო

ფლოტელების ყრილობაზე.

მოსკოვი. 11 ოქტ. ფლოტელების ლობაზე სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ცკიმ, რომელმაც დაახასიათა საერ რისო მდგომარეობა. ამხ. ტროც ნიშნა, რომ ჟენევაში განიარ ურის თქმის შემდეგ ჩვენ გვ სათანადო დასკვნა, — შევამცირ არმია. ჯარში გაწვეულთა მობი წარმატებით მიმდინარეობს, ცხად ყველანი, განწყობილება ს უცხო შემდეგ რა ფლოტის მახვილ ტროცკიმ აღნიშნა, რომ მთელი და მთელი ქვეყანა ლაპარაკობს ფლოტის აღორძინების შესახებ.

— [illegible] ლობის მდგომარეობის შესახებ ცხადა, რომ [illegible] ურნილო ანგარიშზე გადაყვანის ნაყოფიერების გაზრდა 1922 წ. ნახევარში დამუშავებულია 17 არშ. ქსოვილი, 1.100.000 ფ [illegible], რომელიც დამზადებულ წინა წლებში. სქელი ქსოვილ ნახევარში დამზადებულია მილ. არშინი, ე. ი. 80 პროც. შარშანდელზე. ბამბის მრეწველ გიერთმა წარმოებებმა მიაღწი [illegible] დამუშავებას. მასალათა კრიზისი შემცირდა ნაკლულოვანებაა ნედლ მასალი

ანტირელიგიური დემონს

მოსკოვი. 10 ოქტ. ებრაელთა სასწაულის დღეს, ებრაელთა მუ გაზრდამ გამართა ანტი სარ ბრივი დემონსტრაცია. სინაგოგ დემონსტრაციაში მონაწილეობდ მუშ. ებრაელ მუშებისათვის დიდი ლიტერატურული საღამო ლიც გადაიქცა დიდ მიტინგად.

სამეურნეო ფრონტზე.

მოსკოვი. 11 ოქტ. დაიწყო ბა 3 [illegible] მექანიკურმა ქარხან მელიც 8 წლის განმავლობაში შაობდა.

[illegible]

მოსკოვი. 11 ოქტ. ჩრდი ქარხანა შეუდგა მარინის საწ წარმოებ

რუსეთის ორთქლმავალ

მოსკოვი. 11 ოქტ. რუსეთის ების ორთქლმავლების შემოწმე ტკიც, რომ ისინი ხარისხით მაღლა სდგანან, ვიდრე გერმანე ული ლოკომოტივები.

სხვა და სხვა ამ

ლატვია.

ლატვიის სეიმი.

მოსკოვი 11 ოქტ. ლატვი ლატვიის სეიმის არჩევნები. რომ მრავალმა მუშებმა შე ჩვენი ფურცლები ლატვიის [illegible] სახელებით, რომე 3 [illegible] შეეწირნენ კონტრ ციას.

საფრანგეთი.

საფრანგეთის მეშახტე

მოსკოვი 11 ოქტ. საფრანგეთ ლოვეთის ოლქის მეშახტე დებიან 8 საათის სამუშაო ქმების სამუშაო ქირის შემც წინააღმდეგ ბრძოლისათვის ლოვენ ფონდს წარმომადგენ გაერთიანება შემადგენლობა

ნაციების შორის. ბრძოლის შე- ული ძალებით წარმოების მიზ-

გერმანია.

ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტები.

11 ოქტ. გერმანიაში ფა- ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების მოძრაობა. წამოაყენეს მოთხოვნილება ფაბრიკა-ქარხნების საერთო გერმანიის კონგრესის მოწვევის შესახებ.

ჩეხო-სლოვაკია.

ბრძოლა კომუნიზმის წინააღმდეგ.

მოსკოვი 11 ოქტომბ. პრაღაში პოლიციამ დახურა კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირი.

ახალი ამბები

შრომის ბირჟა ტფილისის ალ- ის შრომის ბირჟის კომიტეტის თავმჯდომარეთ დაინიშნა ამხ. ნი.

სასურსათო გადასახადის შე- ება. სასურსათო კომისარიატის ცნობებით, 10 ოქტომბრისათვის მოსავლეთ საქართველოს 10 ში შეგროვილია მიმდინარე სასურსათო გადასახადიდან 242 ფუთი ხორბალი ან პროც. გაწერილისა.

მუშათა ფაკულტეტის გახსნა. ოქტომბრის 8-ს მოხდა სა- გახსნა მუშათა ფაკულტეტის რეალურ სასწავლებლის შე- ში (სასწავლებლის ქ. № 4.) სხდომა გაიხსნა ფაკულტეტის დეკანი მ. პ. ორახელაშვილის სალმებელი სიტყვით. გახსნას წრო მრავალი კულტურული პარტიული ორგანიზაციების მომადგენელნი. საპატიო სტუ- ამხ. მ. ცხაკაია, საქართველოს ლმწიფო უნივერსიტეტის რექ- რი მ. ჯავახიშვილი, პროფ. გა- ლების მთავარ მართველობის გამ- ამხ. ნ. მგელაძე, პროფკავშირთა ის კულტგანყოფილების გამგე გ. ყურულოვი, უნივერსიტეტის პროფესორები და სტუდენტები. ფაკულტეტის გახსნა დამთავრდა ველიშვილის მოხსენებით ფაკულტეტის მოკლე ანგარიშის შესა-

— **სახელმწიფო გამომცემლობის სარედაქციო კოლეგია.** კომუ- ური პარტიის ცენტრ. კომიტეტის პრეზიდიუმმა ამ დღეებში დაამტკიცა სახელმწიფო გამომცემლობის მცირე სარედაქციო კომისია შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე ამხ. მ. ორახელაშვილი, წევრებათ, ამხ. დ. კანდელაკი, კალაძე, ს. აბაშელი, პ. მ. სა- ელიძე, ის. თალაკვაძე და კა- ნი.

— **ახალი წიგნები.** გამოვიდა და დება სახელმწიფო გამომცემლობის წიგნის მაღაზიაში (რუსთველის გიორგის ქუჩების კუთხე) რ. ს. ფ. ს. რ. კონსტიტუცია შედგენილი ნკას მიერ და საქარ. სოც. საბ. რესპუბლიკის კონსტიტუცია. — 2) **სამოსწავლო წიგნები.** ვული, ბუნების კარის მაგივრად ვილ ლიტერატურა. ქართულ რუსულ ენებზე „პედაგოგიკა სა- ვო ბაღების". თავისუფალ აღზრდის თეორია რუსულ ენაზე და „ვაჟა ფშაველას" ლექსები ტომი I ს. აბაშელის რედაქტორობით. აზერბეიჯანის სახალხო გან. კომისარიატიდან მიღებულია სასწავლო წიგნები ყოველ საფეხურიან სკოლებისათვის მუსულმანურ ენაზე. სახელმწიფო გამომცემლობის საწყობებსა და მაღაზიაში მრავალი წიგნებია საბავშვო ლიტერატურიდან, იქვე იყიდება სრული კომპლექტი „ნაკადული და ჯეჯილისა" და „შემოდგომა" საბავშვო ჟურნალი.

3) საქ. სახალხო განათ. კომის. სახელმწიფო გამომცემლობის მიერ მოსკოვში გაგზავნილია სპეციალური პირი სასწავლო და პოლიტიკურ ლიტერატურის შესაძენად. პირველი პარტია უკვე გამოგზავნილია და 30 ამ თვისათვის მოველით ტფილისში.

— **სასწავლო წიგნები.** ამ დღეებში დაიბეჭდება და გამოვა გასაყიდათ ბ. მარაშიძის „გეომეტრია, ნაწილი I „ჩვენი სკოლა" ნაწ. II მე-2—3 განყოფილების კურსი და „ჩვენი სკოლა" ნაწილი I, პირველ განყოფილებისათვის.

— **მევარდეების საჯარო გამოსვლა**—იმა თვის 7 ნოემბერისათვის ტფილისის „მევარდენი" ემზადება საჯარო ვარჯიშისათვის, რომელიც გაგრძელდება რამოდენიმე დღე. ვარჯიშობაში იქნება ჯომარდობის ყოველი დარგი.

— **ცეკავშირის მოკავშირეთა** ბიუროს მეცამეტე სესიის სხდომები გაგრძელდა 3-სა და 4 ოქტომბერს. გაირჩა საკითხი რწმუნებულთა ყრილობის მოწვევისა, რომლის დღეთ დაინიშნა 15 ნოემბერი ა/წლის, ხოლო მეთოთხმეტე სესია მოწვეულ იქნება ა/წ ნოემბრის ათს, სხვათა შორის დაადგინეს შეძენილ იქნას „რუსკოოპტორგი"-პაები—6,000 მ. (ოქროთი).

პროვინციის ცხოვრება

გზების შეკეთება. გორის მაზრის აღმასკომმა მიიღო პროექტი გზების შეკეთების შესახებ.

სათემო აღმასკომები უკვე შეუდგნენ მუშაობას ამ მხრივ. განსაკუთრებული ყურადღება მიქცეული აქვს გორი-ცხინვალის გზას.

აღმშენებლობა ახალ-სენაკში. დასრულდა გზების შეკეთება და სასკოლო შენობათა რემონტი.

ინტერვიუ ჩვენი თეატრის შესახებ

საუბარი აკაკი ფაღავასთან

ჩვენი თანამშრომელი ესაუბრა სახელმწიფო აკადემიური დასის გამგეს, რეჟისორს და დრამატიულ სტუდიის ხელმძღვანელს აკაკი ფაღავას, ქართული თეატრის და სტუდიის ამჟამინდელ და მომავალ მდგომარეობის შესახებ.

— რა მდგომარეობაშია დღეს ქართული თეატრი?

— ვერ ვიტყვი, რომ დღეს ქართული თეატრი კარგს პირობებში იყოს. ამის ვარი მიზეზი არის ის ძველი ჩვეულება, რომელიც დღემდის სცოცხლობს. ქართული დრამის ორგანიზაცია ყოველ წლიწადს ხელახლად და დან იწყებს. არ არსებობს მუდმივი ული მუშაობა, რომელიც თეატრის ქტებს ხელს უწყობდეს და მის ამკვიდრებდეს.

იმავე დროს იმ საშუალებებით, რა- ლებაც ასე უსისტემოდ და უდ- —დროს იხარჯება შეიძლება და ლებით მეტი შედეგების მიღწევა, ვე ეს დღეს არის. წელს მხოლოდ ბრის დამდეგს იქნება მოწვეული რომელიც სეზონით დღემდისაც შეგროვილა. სეზონი კი უნდა გაიხსნას არა უგვიანეს ამა თვის 20-სა. ნიკური აპარატი სრულიად მოშ- ლია და მხოლოდ ეხლა იმაგრებს საქმე, რომელიც ზა- ბის და როლების დამზადება, დეკორაციების, ტანისამოსის, ბუტაფორიის შეკეთება, სცენის რემონტი და სხვა) მხოლოდ ეხლა სწარმოებს.

საშუალებაც სიძვირე თქვენც მოგეხსენებათ და ამ მხრით არც ჩვენი თეატრი წარმოადგენს გამონაკლისს. ყოველივე ეს აძნელებს გადახალისების პროცესს.

როგორც იცით წელს ჩვენს დასში თავმოყრილია ყველა საუკეთესო ძალები. და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ შესაძლებლობის მაქსიმუმს ამოვსწურავთ.

რაც შეეხება თქვენს კითხვას—ჩვენი თეატრის მომავლის შესახებ აქ გულახდილათ უნდა მოგახსენოთ, რომ ხანა ე. ი. განახლება და გადახალისება ჩვენი თეატრისა შეიძლება მხოლოდ ახალი ძალებით. ამ აზრის ვიყავი და ვარ მას შემდეგაც, რაც სასცენო ხელოვნება შევისწავლე და საზოგადო ასპარეზზე გამოველ სამუშაოდ, თქვენ ალბად გახსოვდებით ჩემი წერილები ჩვენს პერიოდულ გამოცემებში და საჯარო გამოსვლანი.

ვიდრე ახალი რაზმი შეცვლიდეს ძველ გვარდიას საჭიროა დღევანდელ ჩვენი სცენის მოღვაწეთა საშუალებით ვეცადნეთ, რაც შეიძლება მაღლა ფრიალებდეს ჩვენი სცენის დროშა.

ახალი დასი და თეატრი უნდა გაზრდილიყო ამ სტუდიიდან (თუმცა სხვა არც კი არსებობს), რომელიც ჩემის ხელმძღვანელობით დაარსდა ჩვენს დედაქალაქში. ეს არის conqicio sine qua non როგორც იტყოდნენ რომაელნი.

სკეპტიკოსები იტყვიან და ამბობენ კიდეც, რომ დაარსებულა ჩვენშიც სტუდიები, მაგრამ დიდ ხანს არ უძლებიათ.

მე მგონია, რომ თუ ახალ საქართველოს უნდა ახალი თეატრი დღეს არსებულ სტუდიას ყოველგვარი დახმარება უნდა გავუწიოთ. ხშირად იტყვიან, რომ ამ შემთხვევაში მე ეგოისტური ზრახვანი მალაპარაკებენ, ვითომდა ჩემი სტუდია და სხვა ამ გვარი.

ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა საჯაროდ განვაცხადო, რომ ეს სტუდია არის ჩემი იმდენად, რამდენადაც თვითეული იქ მომუშავე მასწავლებლისა და მსმენელის უფრო მეტსაც ვიტყვი: თვითეულ ქართველის, იმიტომ რომ მე ამას ვუძღვები ხალხის მიერ გაღებული საშუალებით, თანაგრძნობით და დახმარებით.

სტუდიას ჯერ კიდევ შარშან ჩაეყარა საფუძველი, მაგრამ ყველანი მეტად ალმაცერად უყურებდნენ. როცა ზაფხულის კანიკულები დადგიდა ქუჩაში გაგვაბრძანეს, მაგრამ დღეს ყველა ხედავს, რომ ეს საქმე სერიოზული საქმეა. გარდა იმისა, რომ იგი სერიოზულია, მეტად საჭიროა... აუცილებელი ამის დამამტკიცებელი საბუთი ის არის, რომ ამ სტუდიის გარშემო თავი მოიყარა ჩვენი ქვეყნის ხელოვნების (ლიტერატურის და სცენის) და მეცნიერების საუკეთესო წარმომადგენლებმა,

საკითხი, რომ მომწიფებულია სჩანს იქიდან, რომ სტუდიაში მოვიდა 100-მდე მსმენელი, რომელთა შორის გამომცდელი კომისიის (რომელშიაც შედიოდნენ: ვ. მარჯანიშვილი, მ. ქორელი, ალ. ახმეტელი, ქ. დავითაშვილი და მე) ერთხმად მოწმობით ბევრნი არიან უეჭველი სასცენო ნიჭის პატრონი ახალგაზრდანი. იმედია არ გამართლდება ერთი [illegible] ფრაზა ერთი ჩვენი თანამემამულე უცხოეთიდან ჩამოსული სცენის მუშაკისა, რომელმაც ბრძანა; „მე დავინახე გამოცდებს, ვნახე ქართულ ძალებს და მაშინ ვიტყვი—იქნება საქართველოს სრულიად არ უნდოდეს თეატრი.

— ჩვენი დასია სულ 82 მოწაფე, ამათგან: ნამდვილი მსმენელი 35, თავისუფალი მსმენელი 32 და 15 მსახიობი სახელმწიფო აკადემიური დრამისა, რომელთა შორის არიან როგორც ახალგაზრდა მსახიობნი, ისე საკმაოდ დამსახურებულნიც..

სასწავლო კურსი ამოიწურება 2 წლის ვადით, მხოლოდ უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი სტუდია შერეული ტიპისაა; იგი არის ერთსა და იმავე დროს დრამატიული სკოლა და სტუდიაც. თუ ვიგულისხმებთ სკოლას—მაშინ ყველა ჩვენ მიერ გამოცხადებული საგნების მოსმენა და პრაქტიკულ დარგში გავარჯიშება შეიძლება 2 წლის განმავლობაში, მაგრამ სტუდიური მუშაობა გაგრძელდება მანამდის, სანამდის ძირითადი კადრი სტუდიისა არ დაეუფლება სასცენო ხელოვნების დარგში და არ ჩამოყალიბდება თავისებურ ახალ თეატრად. ეს არის დამოკიდებული თვით სტუდიელებზე, მათ ხელმძღვანელებსა და იმ საშუალებებზე, რომელნიც ჩვენს ხელთ იქნება.

მიმდინარე სეზონის დრამის რეპერტუარი ზოგადად იყო უკვე გამოცხადებული გაზეთებში. უახლოესი—კი იქნება. „ვინ არის დამნაშავე" ნინო ნაკაშიძისა, „გუშინდელნი" შალვა დადიანისა „როდამი"—და „უგვირგვინო მეფენი" შანშიაშვილის, „სიმახინჯე"—შიუკაშვილისა, „სალომე" უაილდის, „ცხვრის წყარო"—ლოპე-დე-ვეგასი „რიშარ ბურდინი"—ოტელო შექსპირისა და კლდიაშვილის 3 ესკიზი: „დარისპანის გასაჭირი", „ირინეს ბედნიერება" და „უბედურება". ეს უკანასკნელი პიესა ახლად იდგმის. მზადდება აგრეთვე შალვა დადიანის „ვერამი".

მე პირადად ჯერ საბოლოოდ ვერ გადავიწყვიტე რომელი ახალ პიესას დავდგამ, რადგანაც არ არის გამორკვეული ის მატერიალური საშუალებანი, რომელნიც იქნება ჩემს განკარგულებაში. მხედველობაში მაქვს 3—4 პიესა, რომელსაც ჯერ ვერ დავასახელებ. შესაძლოა პირველად დავდგა ვიქტორ ჰიუგოს პიესა: „ანჯელო"—პადუის ტირანი.

სწავლა-განათლების საქმე საქართველოში.

თანახმად საქართველოს კომისართა საბჭოს დადგენილებისა, 18 სექტემბერს გაემგზავრა დასავლეთ საქართველოში განსაკუთრებული კომისია სწავლა-განათლების მდგომარეობის ადგილობრივად გამოსარკვევად და მომავალ სასწავლო წლისათვის საჭირო ზომების მისაღებად სახალხო განათლების ამხ. დ. კანდელაკის, ტფილ. განათლების განყოფილების გამგე დ. რუხაძის, კომზინტორის მ. ბაქრაძისა და კომისარიატის საქმეთა მმართველის ალ. მიქაბერიძის შემადგენლობით.

კომისიამ პროვინციაში ორი კვირა დაჰყო. მოიარა ბათომი, ოზურგეთი, ქუთაისი, ხონი, [illegible], კულაში, ფოთი, სამტრედია, ახალსენაკი, ზესტაფონი და გორი. ადგილობრივ გაეცნო სწავლა-განათლების საქმეს როგორც ზემოაღნიშნულ ცენტრებში, ისე დაბებსა და ახლო მდებარე რაიონებში.

კომისიის მიზანი იყო გამორკვევა: 1. აღმასრულებელი კომიტეტების მონაწილეობა სწავლა-განათლების საქმეში და მათი დამოკიდებულება ადგილობრივ განათლების განყოფილებებთან.

2. ყველა ტიპისა და საფეხურის სასწავლებლების მომზადება სწავლა-აღზრდის წარმატების მხრით წარსულ სასწავლო წლის განმავლობაში, მასწავლებლების და მოწაფეთა ცნობაში მოყვანა და შემოწმება.

3. ადგილობრივი განათლების განყოფილებათა მოღვაწეობა წარსულ სასწავლო წლის განმავლობაში და მათი დამოკიდებულება და უშუალო ხელმძღვანელობა სასწავლებლების მართვა-გამგეობისა და სწავლა-განათლების საქმეში.

4. შეერთება და შეკავშირება იმ პირობით, რომ მოწაფეთა შემადგენლობა სკოლის გარეშე არ დარჩენილიყო.

5. მასწავლებელთა და სკოლების გამგეების სიების გადასინჯვა სტაჟისა და გამოცდილების მიხედვით და ამ მხრით სათანადო ცვლილების მოხდენა;

6. სასწავლებელთა შენობების რემონტისა და გათბობის მხრით მომავალი სასწავლო წლისათვის უზრუნველყოფა.

7. მასწავლებლების შესახები ხარჯების ნაწილის ადგილობრივი საშუალებით დაკმაყოფილება,

ყველა ზემოაღნიშნული საკითხების გარკვევამ კომისია დაარწმუნა, რომ აღმასრულებელი კომიტეტები, შესაძლებელია მრავალი საჭირო მიზნის გამო, თითქმის ყველგან ჯეროვანის ყურადღებით და გულმოდგინებით ვერ ეპყრობოდნენ სწავლა-განათლების საქმეს ქალაქებსა და მაზრებში, რაიცა [illegible] მეტად აფერხებდა ადგილობრივი განათლების განყოფილებათა მოღვაწეობას სკოლების ახალ საფუძველზე და ნიადაგზე დამყარების საქმეში.

აღმასრულებელ კომიტეტებისა და განათლების განყოფილებათა შორის არ არსებობდა ის მჭიდრო კავშირი, რომელიც ცხადია მოამზადებდა და შექმნიდა სასურველ ნიადაგს ჩვენი ახალ პრინციპებზე დამყარებულ სკოლების ნაყოფიერად მოქმედებისათვის.

განათლების განყოფილება ხშირად მოკლებული იყო საშუალებას უსახსრობის გამო, მოეხდინა სასწავლებლების შენობებში საჭირო და აუცილებელი რემონტი, შეეძინა უბრალო სასწავლო ნივთი, როგორიცაა, მაგალითად ცარცი, ჩვარი, ცოცხი და სხვ., მიმოსვლის საშუალებათა უქონლობის გამო გაეწია უშუალო ხელმძღვანელობა მაზრის სკოლებისათვის და სხვა.

აღმასრულებელ კომიტეტებთან პირადის მოლაპარაკებიდან კომისიამ გამოარკვია, რომ მართლაც ადგილობრივი ხელისუფლება ნივთიერის მხრით ვერ უწევდა სათანადო დახმარებას განათლების განყოფილებებს, მაგრამ ყოველივე ამას ადგილობრივი ხელისუფლება უსახსრობის გამო ასაბუთებდა. აღმასრულებელი კომიტეტების წარმომადგენელნი განმარტავდნენ, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას უხდება მრავალი ამ ხანად პირველხარისხოვანის და მასთან ყოვლად აუცილებელის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება და მას ამისათვის საკმარისი საშუალებანი არ მოეპოვება, და ამიტომაც იყო, რომ განათლების განყოფილებებს ჯეროვან ნივთიერ დახმარებას ვერ უწევდნენ.

მომავალ სასწავლო წლისთვის ამ ანომალიური პირობების თავიდან ასაცილებლად კომისიამ გამართა ყველგან პირადი მოლაპარაკება აღმასრულებელ კომიტეტებთან და განმარტა, რომ ამიერიდან ადგილობრივ ხელისუფლების განკარგულებაში გადადებული იქნება უფრო მეტი ნივთიერი საშუალებანი, რაიცა უეჭველია მისცემს აღმასრულებელ კომიტეტებს უფრო მეტი ნივთიერი დახმარება აღმოუჩინონ განათლების განყოფილებებს სასწავლებლების ნორმალურად წარმართვის საქმეში.

მომავალ სასწავლო წლიდან ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს ეძლევათ სწავლა-განათლების საქმეში მოსალოდნელ ხარჯების ნაწილის თავის თავზე მისაღებათ სამი წყარო, რაიცა უეჭველია, შედარებით გააძლიერებს კომიტეტების ბიუჯეტს [illegible].—

პირველი—ცენტრალური მთავრობის მიერ უკვე დაკანონებულია სახელმწიფო გადასახადების საერთო შემოსავლის 20 პროც. ადგილობრივი კომიტეტების განკარგულებაში გადარიცხვა ამ თანხიდან 7 პროც. შესაძლებელი იქნება მოხმარდეს სწავლა-განათლების საქმეს. ჯანმრთელობის საჭიროებათა დაკმაყოფილებად; მეორე—უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში დაწესებულია, როგორც დროებითი ზომა, სწავლის ფულის გადასახადი; მესამე—მთავრობის მიერ პრინციპიალურად უკვე მიღებულია ერთად წოდებული სასკოლო საყოველთაო გადასახადი, რომელიც უეჭველია სულ მოკლე ხანში დეკრეტის სახით სათანადო ინსტანციაში დადასტურებულ იქნება. და, თუ § ყველა ამას დავუმატებთ იმ გარემოებასაც, რომ განათლების განყოფილებებს ნება ეძლევათ საჭირო შემთხვევაში თემებთან შეკრან ხელშეკრულებანი სკოლების ადგილობრივ საზოგადოების საშუალებით სრულიად კოლექტიურ შენახვის შესახებ, ცხადია, რომ ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს სრული შესაძლებლობა მიეცემა მიიღონ თავის თავზე ნაწილი იმ ხარჯებისა, რომელსაც ამ ქამად მთავრობა ეწევა საერთო სახელმწიფო საშუალებიდან.

ყველა მოხსენებული რესურსების გათვალისწინების შემდეგ ადგილობრივმა კომიტეტების წარმომადგენლებმა თანხმობა განაცხადეს კომისიას მიიღონ თავის თავზე:

1. ყველა ტიპისა და საფეხურის სასწავლებელთა შენობების რემონტი, გათბობა, განათება და ყოველივე სამეურნეო ხარჯების გასწორება;

ბ) ტექნიკურ მომუშავეთა და ადგილობრივი განათლების განყოფილებათა (გარდა გამგის) ყველა მოსამსახურეთა ჯამაგირებით დაკმაყოფილება;

გ) მასწავლებელთა მთელი შემადგენლობის 10—25 პროც. მეტ ჯამაგირების ადგილობრივ საშუალებიდან გადება.

(შემდეგი იქნება).

მოწერილი ამბები

გურიის ვითარება.

(საკუთარი კორესპონდენტისაგან).

ბახმარო. ბახმარო ოზურგეთს დაშორებულია 30—35 ვერსით არის. დაშორებული იგი მდებარეობს ალპიისებური ტყით სოფელ-ჩოხატაურის დასავლეთ—მთებში. გზა მეტად სახიფათოა. საცალფეხო ბილიკებია. სიგრძე გზის ჩოხატაურის თავიდან ბახმარომდე იქნება 25 ვერსი. სულ აღმართებია, ძალიან ხშირია გზის უვარგისობის გამო უბედური შემთხვევები ცხენი ცხენს ვერ შეუცვლის, არის ისეთი ადგილები, ბუნება მეტად მდიდარია და თავისებური ელფერით. ჩოხატაურიდან იწყება მთები წიფლნარი და გრძელდება [illegible]. აქ შეხვდებით თვალუწვდენელ წიფლის ხეებს დატვირთულ გრძელ მწვანე ბუჩქებით, რაიც [illegible] დამზადებისათვის—მაგრამ მანძილის სიშორის გამო მას სოფლელები ნაკლებათ ხმარობენ. არა თუ ისეთ ტყეებს—თვით ხეებით ვერ სარგებლობენ სოფლელები, რადგან ურემი არ უდგება ამ ტყეს და ხშირად ეს ვეებერთელა ხეები უპატრონოდ ყრია შიგ და შიგ და ლპება. ბახმაროზე ძალიან [illegible] უსაზღვროდ შეამჩნევთ, რომ ეს ბარე ჯერ ადამიანის ნებით ხელუხლებელია, და ბატონობს ბუნების ძლიერება, აქ რაღაც ძალას იგრძნობთ ბუნებისას. [illegible] ბუნებასთან ერთად თქვენც ესვენებით განცდით—[illegible], ივიწყებთ სოფელს, მის [illegible] და [illegible] მის სილაღეში—ისეთი განცდა იწყება ჭკვა სოფლის შემდეგ. აქ გადაიშლება ბახმაროს ნაძნარები თვალ წინ. პ ერის სიცივე თანდათან მატულობს, ხედავთ კლდეების ფერდობებზე დარჩენილ თოვლებს, რაუებს მთებით დაქსელებულთ. დილდილობით ჰქუხს, სიცრცხლეს გრძნობს სხეული.

ასეთ ვიდრე მისაცდომელით ბახმაროში ბახმარო გაშენებულია მეტისმეტად ბევრის წლის მანძილზე მთაზე. სახლები ფიცრულია თითო სართულიანი. დაახლოებით 300 დე იქნება, თუ არ ვცდები. სეზონის განმავლობაში იქ 10 ათასამდე მოაგარაკე. სახლები უსისტემოთ არის აგებული. ბინის საკითხი მოუწყობელია. ყველაზე უდიდეს ნაკლად ეს ტიპი მოაგარაკის თვალში. მე ბახმაროს ბინა სტუმარი ვარ და ეს ნაკლი ყოველთვის ვიგრძენი. წელსაც ასე იყო. ხალხი იმდენი მოვიდა—რაიც არ შეიძლებოდა დაიტიოს არსებულმა ბინებმა, ამის გამო ხელი უწესრიგობა, ჩასახლება სხვის ბინაში შეუფერებლად და უპატრონო სტუმრების—ეს იწვევდა დასისხლებამდე ამოსულ პირების მდგომარეობის შერყევას—ასე იყო წელსაც. ამ მხრივ ბევრ ცუდ სურათს ჰქონდა ადგილი. მოიწყობა—ბახმაროს გამგეობა სუსტი გამოდგა ამ მხრივ. სეზონი იწყება ივნისის 20-დან (ძველი სტ.) და თავდება აგვისტოს 15 ს. შემდეგ ცხოვრება არ შეიძლება. ჰავის მოძ-

რთობა ცვლილებით. ისეს უცაბედი აჯახყება ბუნებამ. სათითაოდ არის მოსალოდნელი სხვადასხვაგვარი სურათები. წუთით მზის შეცვლის მძიმე ნისლი, ნისლს წვიმა, წვიმას სეტყვა და ქარი. ეს ხშირია. ამ მხრივ ბახმარო მეტად თავისებურია ჩვენს აგარაკებში. მე მინახავს ჩვენი აგარაკები—მაგრამ არ მიგრძნია ბუნების ასეთი თვისება არსად. ერთი მცოდნე პირის სიტყვით. ბახმაროს რომ არ იფარავდეს ზღვის სიახლოვე და არ აძლევდეს საჭირო სითბოს—იქ შეუძლებელი იქნებოდა არა თუ ადამიანის ცხოვრება—არამედ ნადირისაც კი——რადგან ზღვიდან ორი ვერსის სიმაღლით არის აზიდული და ასეთ სიმაღლეზე გაიყინებოდა ყველაფერი.

კარგია ბახმარო, როცა მზიანი დღეებია აგვისტოში. ამ დღეების გაწერა შეუძლებელია რომ გადმოგცეთ. იგი თვით უნდა განიცადოს ადამიანმა. აქ რაღაც სულ სხვაგვარ ბუნების მაგიურ ძალასთან გაქვთ საქმე. ყოველი დღე თქვენ გმატებთ დაუშრეტელ ენერგიას. იცვლებით სრულიად. გრძნობთ, რომ სიცოცხლის შეუმლახველ სამეფოში ხართ, მაგრამ ცუდია ბახმარო, როცა ეს კარგი დღეები უცებ შეიცვლება საზარ ავდრებით—ზამთრის სახეებით. ასეთი უცაბედი ცვლილების გამო ხალხი სადგომებში ვარდება, ვინ თუ თავლი მოვიდეს და ბარში ცეცხლ ჩავაწყოთ. ამიტომ აქ 10—15 აგვისტოს შემდეგ ცურავს იხილავთ, ხალხი ერთბაშად სტოვებს ბახმაროს.

წრევანდელი სეზონი არ იყო საინტერესო ავდრების გამო. ხალხი ბევრი იყო, მაგრამ კმაყოფილება არა. უბინაობას დაერთო ავდრები,—მოწყენილება. არ იყო თეატრი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ცეკვის ძალების, რომლებიც შემოსავლის გულისთვის მხოლოდ „არშინ მალ ალანით“ და მსგავსი პიესებით ართობდნენ ხალხს. ერთი კარგი მოვლენა იყო წრეულს ბახმაროში. მთავრობის ინიციატივით გამოგზავნილ იქნა პროფესორები. პროფესორებმა გამოიკვლიეს ბახმარო და საბოლოო დასკვნისათვის წამოიღეს მასალები ტფილისში. ბახმაროს კურორტად ცნობის საკითხი დიდი ხანია სდგას და უნდა მიიღოს გარკვეული სახე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ იგი ჩქარა გადაწყდება. ბახმარო ნადგურდება ტყის უპატრონობის და შეუბრალებელი გაჩეხვით. დღეს ასეთ საზარ ჯალათობის წყალობით მშვენიერი ნაძვის ტყეები სანახევროდ განადგურებულია. ახალგაზრდა ნერგებიც არ იზოგება, რადგან ნახირი ანადგურებს—სთელავს და ველარ იდგამს ფესვს. ეს კი უქადის ამ დიდებულ აგარაკს სამუდამოდ განადგურებას, ძველი ხეები ისედაც გადაშენდება, თუ ახლებმა არ აიზარდნენ. ამ მოვლენას ეხლავე უნდა მიექცეს ყურადღება, უნდა შემოიფარგლოს ბახმაროს ხაზი და ამ სივრცეში დაცულ იქნას იგი. ეს აუცილებელია. აუცილებელია აგრეთვე საცხოვრებელ სახლების სისტემაში მოყვანა. სანახიროები უნდა დაშორდეს საცხოვრებელ სახლებს—ერთი სიტყვით, ბახმაროს ნამდვილ აგარაკის დამშვენებისათვის ჯერ დიდი შრომა და ენერგიის დახარჯვა არის საჭირო. ამას ყველა იგრძნობს, ვინც ერთხელ იხილავს მას. ასეთი დიდებული ბუნება და ასეთი უყურადღებობა ნუ თუ შეეფერება დღევანდელ დღეს—უნდა დაფასებულ იქნას ბახმარო და შესაფერად გაშენებული.

(შემდეგი იქნება)

ელ.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ს. ს. ს. რ. სახალხო განათლების კომისარიატის

ინსტრუქცია.

სწავლის ფულის მიღებისა, შენახვის და ხარჯვის შესახებ.

ყველა ტეხნიკუმებს და განათლების განყოფილებებს.

1) სასწავლებლებში შემოსული სწავლის ფული შეადგენს სასწავლებელთა სპეციალურ თანხას.

2) სპეციალური თანხების დანიშნულება არის:

ა) სასწავლო ნივთების და საგნების შეკვეთა შეძენა;

ბ) წვრილმანი შეკეთება სასწავლებლის შენობისა და ინვენტარისა;

გ) ყველა სამეურნეო და სხვა (ტელეფონი, სამსახურის გამო წასვლა-წამოსვლა, ბეჭდვითი ოფიც. ორგანოს გამოწერა და სხვა),

დ) წინა პუნქტებით გაუთვალისწინებელ ხარჯების დაფარვა, ხოლო ყოველ ცალკე შემთხვევაში კომისარიატი საგანგებო ნებართვით, რის შესახებ სასწავლებელთა გამგეები აღძრავენ შუამდგომლობას პროფესიონალურ განათლების მთავარ გამგის შემწეობით.

3) ყველა შემოსული თანხები უნდა იქმნეს გატარებული საბუჰლალტერო წიგნებში. ამ წიგნებს თვეში ერთჯერ ამოწმებს სამეურნეო კომიტეტი.

4. ფულის გადამხდელს ეძლევა: ქვითარი სამეურნეო კომიტეტის მიერ აღნუსხულ, ზონარ-გაყრილ, ლუქ-დასმულ, ბეჭდით შემოწმებულ წიგნიდან, რომელიც ყოველთვიურად შემოწმებული იქმნება იმავე კომიტეტის მიერ.

5) შეკრებილი ფული მიღებისამებრ ინახება სახელმწიფო ბანკში და მის განყოფილებებში, ხოლო სადაც ეს დაწესებულებანი არ არსებობენ, ხაზინებში სასწავლებლების მიმდინარე ანგარიშებით. სასწავლებლების სალაროში შეიძლება დატოვებულ იქმნას არა უმეტეს 10.000.000 მან. ტფილისში, ქუთაისში და ბათომში, დანარჩენ ადგილებში კი 5.000.000 მანეთი.

6) შეკრებილ თანხებს ხარჯავენ სასწავლებელთა გამგეები შემდეგი წესით: ა) თავის უფლებით ერთდროულად: 3,000,000 მან. ტფილისსა, ქუთაისსა და ბათომში, დანარჩენ ადგილებში კი 1,000,000 მან. გამგის მიერ გაწეული ხარჯები უნდა წარუდგინოს მორიგ კრებაზე სამეურნეო კომიტეტს დასამტკიცებლად; ბ) სამეურნეო კომიტეტის დადგენილებით, ერთდროულად. ტფილისსა, ქუთაისსა და ბათომში—10.000.000 მან. დანარჩენ ადგილებში კი 5,000,000 მან.—გ) პ. ბ. ნაჩვენებ თანხებზედ მეტს- განათლების კომისარიატის ნებართვით (იხ. მ. 2 პ. დ.)

7) ყველა ხარჯები უნდა იქმნეს გატარებული საბუჰლალტრო წიგნებში (იხ. პ. 3).

8) ყველა გასამართლებელი საბუთები (ანგარიშები, ბარათები, აქტები, ოქმები და ნებართვანი) ინახებიან სასწავლებლის საქმეებში.

9) ანგარიშის ბარათების ასლები და მთელი ანგარიში უნდა წარდგენილ იქმნას განათლების კომისარიატის ფინანსიურ-საკონტროლო განყოფილებაში ყოველ სამოსწავლო ნახევარი წლის შემდეგ (პირველ იანვრის და პირველ ივნისისათვის), ხოლო ყოველი თვის დამლევს—შემოსულ თანხებზე ცნობები ყოველთვიურად ორ ეგზემპლიარად—ერთი პროფესიონალურ განათლების მთავარ გამგეობაში, მეორე კი ფინანსიურ განყოფილებაში.

10) ტფილისის სასწავლებლებში, შემოსულ მთელი თანხის 10%-ტი გადაირიცხება სახალხო განათლების კომისარიატის სპეციალურ თანხებში (7%-ტი პროფეს. განათლ. სპეც. თანხებში და 3 პროც. კომისარიატის საერთო თანხებში), დანარჩენ ადგილების სასწავლებლებიდან კი 2%-ტი იმავე კომისარიატის სპეც. თანხებში 10%-ტი პროფ. განათ. მთავარ მმართველ და 7%-ტი საერთო თანხებში).

სახ. განათლების კომისარი დ. **კანდელაკი.**

—

ცირკულიარი ს. ს. ს. რ. სახალხო განათლების კომისარიატის

ტფილისის ყველა ტეხნიკუმის გამგეს

გთხოვთ სასწრაფოთ გვაცნობოთ, ვინ ასწავლის რწმუნებულ თქვენდამი ტეხნიკუმებში პოლიტიკურ ეკონომიას და საბჭოთა აღმშენებლობას, შემდეგი ცნობების აღნიშვნით: 1) სახელი და გვარი მასწავლებლისა, 2) მისი განათლების ცენზი, 3) რა სასწავლებელი აქვს დამთავრებული და 4) რამდენი გაკვეთილი აქვს როგორც პირველისა, აგრეთვე მეორე საგანში, ცალ-ცალკე.

პროფ. განათლების მთავარმმართველობის გამგე **ნ. მგელაძე.**

—

ცირკულიარი ს. ს. ს. რ. სახალხო განათლების კომისარიატის ყველა განათლების განყოფილების გამგეს.

უკანასკნელ წლების განმავლობაში ჩვენი სკოლების მოწაფეთა ცხოვრებაში თავი იჩინა ერთმა პედაგოგიურ თვალსაზრისით ყოვლად შეუწყნარებელმა მოვლენამ: ზოგიერთი მოწაფეები სკოლებში დაიარებიან შეიარაღებულები (რევოლვერებით) და ესევე ესწრებიან გაკვეთილებსაც. ამგვარი მოვლენა განათლების კომისარიატს ყოვლად დაუშვებლად მიაჩნია.

გაუწყებთ რა ამას, ს. გ. კომისარიატი გთხოვთ გასცეთ განკარგულება ტეხნიკუმების გამგეებისადმი სასტიკად აუკრძალოს ყველა მოწაფეებს გამოუკლებლივ, რომ არავითარ შემთხვევაში არ ატარონ იარაღი სკოლაში სიარულის და კლასებში გაკვეთილებზე დასწრების დროს, წინ აღმდეგ შემთხვევაში ამ განკარგულების დამრღვევი მოწაფენი უნდა დათხოვნილ იქნენ და მათი სახელ-გვარი დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს კომისარიატს სათანადო ზომების მისაღებად.

განათლების სახალხო კომისარი **დ. კანდელაკი.**

პროფ. განათლ. მთავარმმართველობის გამგე **ნ. მგელაძე.**

—

პროფ. განათლების მთავარ მმართველობამ აუწყა ცნობათ და სათანადო შესასრულებლად ქუთაისის ყველა სპეციალურ და ტფილისის მე-4, 5, 6 ტეხნიკუმებს, რომ სასწავლებლებში, სპეციალურ ტეხნიკუმებში ყველა სასწავლო საგნები, გარდა ქართული ენისა და ლიტერატურისა, რუსული და უცხო ენებისა, დასავლეთ ევროპის ლიტერატურის და მსოფლიო ისტორიისა, ჰიგიენის, კოსმოგრაფიის, პოლიტიკურ ეკონომიის და საბჭოთა აღმშენებლობისა, ირიცხებიან სპეციალურ საგნებად, რომლის მიხედვითაც ანაზღაურებულ იქმნეს ამა თუ იმ სპეციალურ საგნების მასწავლებელთა შრომა.

პროფ. განათლების მთავამმართველ. გამგის მაგიერ **კანდელაკი.**

ცოტა რამ მთავარ პოლიტიკურ მმართველობის შესახებ

ორიოდე სიტყვით, ისიც გაკვრით, მსურს შევეხო პოლიტიკურ მთავარ მმართველობას და მის მოქმედებებს.

აღნიშნული ორგანო დაარსდა საქართველოს პირველ გასაბჭოების ხანებში, რომლის სათავეში იდგა ამ ქამად ტფილისის განათლების განყოფილების გამგე ამხ. რუხაძე, მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ დანიშნულ იქმნა ხაჭაპურიძე, რომელიც ეხლაც გამგეთ ითვლება.

საქართველოს გასაბჭოების პირველ ხანებში აქ მუშაობა „სდუღდა“, ორას კაცზე მეტი იყო თანამშრომლები, ყველა რაღაცას აკეთებდა და გაკეთებული კი არაფერი სჩანდა.

შტატის შემცირების შემდეგ დაარსდა მცირე თანამშრომლების შტატი და ამ შემცირების შემდეგ ხაჭაპურიძის ფრთებქვეშ, რომელსაც თავი „დიდი კომუნისტადაც“ მოაქვს, მოეყარა თავი ზოგიერთ ისეთ ელემენტებს, რომელთა არამც თუ ისე საპასუხისმგებლო ადგილებზედ არამედ უბრალო მოსამსახურეთაც მიღება კი აღკრძალულია.

აქ თქვენ ნახავთ ყოფილ „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ წევრებს და სხვა ასეთებს.

თუ როგორია მოქმედება პოლიტმთავარ მმართველობის გამგის ამას გვიჩვენებს მუშათა და გლეხთა ინსპექციის მომხდარი რევიზია, ამა წლის გასულ თვის პირველ რიცხვებში და შემდეგაც.

მოკლედ რომ ვსთქვათ ამ დროს განმავლობაში ადგილი ქონდა საბჭოთა ფულების გაფლანგვას პოლიტიკურ მთავარ მმართველობის სალაროში და უნდა ითქვას, რომ თავი ბრალდება ყოფილ ბუხჰალტერს ედება, რომლის საქმე ჯერ კიდევ იმყოფება უზენაეს რევტრიბუნალში და არ გარჩეულა, მაგრამ ამ ფულის გაფლანგვაში ალბად სხვებსაც მიუძღვის დამსახურება.

ამას გარდა ადგილი ქონდა კიდევ „კომბინაციებს“, რომელიც ჯერ კიდევ გაურკვეველია და გაუგებრობით გარემოცულია, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ხსენებული „კომბინაციები“ მალე იქნება გამოქვეყნებული.

გარდა ამისა პოლიტმთავარ მმართველობის გამგეს აქვს სხვა კარგი „თვისებები“ მისი კარგი „კომუნისტობა“ და კომუნისტური დამოკიდებულება და საქციელი ამხ. კომუნისტებთან და უპარტიო მასასთან.

მე დაწვრილებით იმის აღწერას, თუ ვინ რას აკეთებს არ შევუდგები, რომელთაც ამ გამგის ფრთებ ქვეშ შეუფარებია თავი და კოლექტიური შეთანხმებულ მუშაობით ეწევიან „კარგ“ საქმეებს.

ეხლა ხდება კომუნისტური პარ[illegible] გენერალური გაწმენდა, [illegible] და უნდა ვიფიქროთ აქაც მოხდება [illegible] წმინდა [illegible] ამ „მუშაკებს“.

[illegible] ტებს და გაიწმინდოს ორგანო [illegible] პირებისგან.

გარ

ღია წერილი

„ექიმ“ ვლადიმერ ივანეს-ძე ვართქილაძეს!

აგვისტოს ათიდან მე თქვენ გადეც[illegible] სამ მილიონ, ნახევ. სამი დღის ვად[illegible] მაგრამ ეს ფული, ბევრი აწყვეტილ სიცრუ[illegible] და მოტყუებათა შემდეგ, აქამდე არ [illegible] მილია სრულად. ეს ფული წვეთ[illegible] დაგვით არის მონაგარი, რომელიც სისხლ[illegible] იმისთვის, რომ თავი შემა[illegible] ლი „დღეს თავს მოვიკლავ, თუ ვიშოვე და ზედ კი უშველ[illegible] ნებამო“.

მე სხვა პირთაგანაც გავიგე, სხვებისთვისაც ესე წადირთმევია ფუ[illegible] და შემდეგ ან ბრაზ დაუბრუნებია, კიდევ იმედით გიქინჯავთ, რომ ამ ნჯღად არც კი ლირეულა დაბრუნ[illegible] რაშია საქმე? გთხოვთ სწორედ შემ[illegible] ყურიმნოთ, რათა საქმეს თავისი მსვ[illegible] ლობა მიეცეს.

ი. მჭედლიშვილ[illegible]

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგი[illegible]
გამომცემელი—მთავარი კომიტეტ[illegible]

ტფილისის ქალაქის აღმასკომის გად[illegible]
სახადთა ბიურო
აცხადებს, რომ 17 ამა ოქტომბერს დღითი 12 საათზე
დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
მალაკნის მოედანზე და ნუნუფაროვის ეზოში მდებარე სასწორებზე.
კონდიციის გაგება შეიძლება ოთახი № 50 საიჯარო მაგიდის გ[illegible]
მგესთან დარახველიძესთან.
59—6—1

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარია-
ტი აცხადებს,
რომ იმ საჩივრების განსახილველად, ზედამხედველობის წესით, რომელიც ეხება ადგილობრივ გადასახადთა დეკრეტებისა და ინსტრუქციების დარღვევას, და, აგრეთვე, კომუნალური საგადასახადო კომისიების მოქმედების შესათანხმებლად, თანახმად სახალხო კომისართა საბჭოს ა/წ 10 ივლისის № 37 დეკრეტისა, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან დაარსებულია ცენტრალური სათათბირო.
გადამხდელებს, რომელნიც არ იქნებიან დაკმაყოფილებულნი ადგილობრივ საგადასახადო კომისიების დადგენილებით მათზე შეწერილ გადასახადების გამო, უფლება ეძლევათ გაასაჩივრონ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებულ ცენტრალურ საგადასახადო სათათბიროში ადგილობრივ საგადასახადო კომისიების საშვალებით.
შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საქმეთა
მმართველი: დ. ჩიქოვანი.
ცენტრალურ საგადასახადო სათათბიროს თავმჯდომარე კომუნ. განყ. გამგე: ნანეიშვილი.
მდივანი: ი. იაშვილი.
384—3—1

სახელმწიფო საოპერო თეატრი
სეზონის გახსნა
კვირას, 15 ოქტომბერს
„აბესალომ და ეთერი“
მუსიკა ფალიაშვილისა.
სამშაბათს, 17 ოქტომბერს „კარმენი“.
ბილეთები იყიდება 11—3 საათამდე და 6—9 საათამდე თეატრის კასაში.
1—1

განცხადება
ამით ქალაქის აღმასკომის
საადგილ-მამულო განყოფილება
აცხადებს ყველა დაინტერესებულ მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ [illegible]
ბაღ-ბოსტნებზე, რომელთაც საიჯარო
გადასახადი
შემოტანილი არ ექნებათ
საადგილ-მამულო განყოფილებაში
(ოთ. № 52) ა/წ. 15 ოქტომბრამდე, ჩამოერთმევათ დღევანდელ მფლობელთ და გადაეცემა სხვაზე იჯარით.
2053—3—8

საქართვ. უმაღ.მეურ. საბჭ. პოლიგრაფიის განყოფ. № 2 სტამბა კრუზენშტერნის ქუჩა.